

ფინანსური ანგარიშგებები

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2020

	შენიშვნები	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვრვალენტები	5	3,355,458	5,452,978
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,650,556	3,370,980
გადახდილი ავანსები		0	0
მარაგები		0	0
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0
სულ მიმდინარე აქტივები		6,006,014	8,823,958
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		0	0
არამატერიალური აქტივები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები		6,006,014	8,823,958
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	0	303,477
საგადასახადო ვალდებულებები		1,130,635	14,427
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,130,635	317,904
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ ვალდებულებები		1,130,635	317,904
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8		
გაუნაწილებელი მოგება		2,932,644	3,698,899
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,942,735	4,807,155
სულ კაპიტალი		4,875,379	8,506,054
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,006,014	8,823,958

დირექტორი:

კრისტოფ ფლო ფლაუქს

30 სექტემბერი, 2021

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში
მოგება/ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2020

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი		2,798,966	5,727,539
თვითღირებულება		0	0
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი		2,798,966	5,727,539
სულ შემოსავალი		2,798,966	5,727,539
დასაქმებულთა ანაზღაურება		0	0
ცვეთა და ამორტიზაცია		0	0
იჯარის ხარჯი		0	0
ფინანსური ხარჯი		0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(501,244)	(929,419)
წმინდა საკუროსო შემოსავალი/ხარჯი		628,556	9,034
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი		0	0
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,926,278	4,807,155
მოგების გადასახადი		(983,543)	0
პერიოდის შედეგი		1,942,735	4,807,155

დირექტორი:

კრისტოფ ფლო ფლაუქს




30 სექტემბერი, 2021

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში
 კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2020

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
კაპიტალი 31.12.2019 მდგომარეობით	0	8,506,054	8,506,054
პერიოდის შედეგი	0	(3,630,675)	(3,630,675)
კაპიტალი 31.12.2020 მდგომარეობით	0	4,875,379	4,875,379

დირექტორი:
 კრისტოფ ფლო ფლაუქს



30 სექტემბერი, 2021

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2020

	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წლის მოგება	1,942,735
კორექტირება:	0
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	628,556
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	2,571,292
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	720,423
ცვლილებები მარაგებში	0
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	0
ცვლილება სხვა აქტივებში	0
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(303,477)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	1,116,209
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,104,447
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ცვლილებები ძირითად საშუალებებში და არამატერიალურ აქტივებში	0
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
სასესხო ვალდებულებები	0
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0
განაწილებული მოგება	(5,573,410)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(628,556)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(2,097,520)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	5,452,978
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3,355,458

დირექტორი:

კრისტოფ ფლო ფლაუქს

30 სექტემბერი, 2021



2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელებული ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) სწრაფად გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა.

პანდემიის გამოცხადების შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები ახალი კორონა ვირუსის შესაძლო უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. კომპანია მომზადებული შეხვდა ცვლილებებს და განაგრძო ფუნქციონირება ისე, რომ ვირუსის გავრცელებას რაიმე არსებითი ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია. ხელმძღვანელობას სურვილი აქვს განავითაროს კომპანიის საქმიანობა და სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია მისთვის.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში არ ფლობს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს საქართველოს ტერიტორიაზე.

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
31 დეკემბერი, 2020

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაარსებულია სააქციო საზოგადოება სოფრეკომის (ს.ნ.:672004660, საფრანგეთი) მიერ.

საქართველოში იურიდიული მისამართია ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N34, სართული 7.

სოფრეკომის ფილიალი საქართველოში დირექტორია კრისტოფ ფლო ფლაუქსი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბიზნეს-საკონსულტაციო საქმიანობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ფილიალი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, სარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	3,180,300	5,325,018
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	175,159	127,960
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3,355,458	5,452,978

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,650,556	3,370,980
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0	(0)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,650,556	3,370,980

7. კაპიტალი

კაპიტალი	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	4,517,288	8,147,962
სხვა რეზერვები და დაფინანსება	358,091	358,091
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,875,379	8,506,054

8. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2020	2019
საკონსულტაციო ხარჯები	484,660	823,779
საკომისიო ხარჯები	2,368	79
კონსულტანტების ხარჯები	11,387	103,688
სხვა ხარჯები	2,829	1,872
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	501,244	929,419

9. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, 2019 წლის 1 იანვრიდან კი ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო

გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

11. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.